



# შედეგები წინ

საერთაშორისო კონკურსი

**N3**

# ქალთა სმა ჰოლობიჯაში

№ 3

ივლისი  
2011



გამდის  
დემოკრატიის  
ენდგნული  
ფონდის  
(ფაშინგტონი)  
მხარდაჭერით

## ბეჭედი:

ძვირფასო მკითხველებო,  
ლიდემ ქალებო -  
ეს თქვენი ვუხნაღია...

ამომხრეველ ქალთა ჯლებები  
აქტიუხად მუშაობენ ჰომბღემების  
ადგოჯატიღებისა და ღობიღ-  
ბისათვის ჰვა ქალაქში: ქუთაისი,  
წყაღტებო, ხონი, ხობი, ზუგდიღი,  
ფოთი, ოზუღეთი, ბათუმი.

ჯლებები თანამშღმღმღმენ  
ჰოღიტიუღი ჰატიღებთან,  
ხელისუფღების ადგიღობიღი  
სტიუქუღებთან.

ეს თანამშღმღმღმობა აქტიუღი  
ქაღებს მატებს სტიმულს, ძაღს,  
თავდაჯიღებღმობას, ჰმღ  
გამოავღინღონ ინიციატიუღები და  
იზიუნღონ თავიანთი ქალაქების  
ჯეთიღღღღობისათვის.

ვუხნაღში სწოიღე ამავღე  
გიაღმობთ.

ღეღოღეღია

ამოხრეველ

ქალთა კლუბებს

აქტიურობა:

ქალთაღი

წყაღტებო

ფუღღღღღღ

ხონი

ფოთი


ოზუღეთი

ბათუმი

ხონი

# „თქვენი მუშაობა მეტად შთამბეჭდავია. თქვენ საკმაოდ გაძლიერდით, თანამშრომლობით ადგილობრივ მთავრობასთან და პოლიტიკურ პარტიებთან. დარწმუნებული ვარ, ეს თანამშრომლობა ბევრად გააუმჯობესებს იმ ადამიანების ცხოვრებას, ვისთვისაც მუშაობთ.“

„თქვენი მუშაობა მეტად შთამბეჭდავია. თქვენ საკმაოდ გაძლიერდით, თანამშრომლობით ადგილობრივ მთავრობასთან და პოლიტიკურ პარტიებთან. დარწმუნებული ვარ, ეს თანამშრომლობა ბევრად გააუმჯობესებს იმ ადამიანების ცხოვრებას, ვისთვისაც მუშაობთ.“



ქალთა სქმა პოლიტიკაში 2013

ასე შეაფასა ჩვენი საქმიანობა **მარტა ბერტმა**, დემოკრატიის ეროვნული ფონდის (NED) კოორდინატორმა სამხრეთ კავკასიაში.

ის ივნისში ეწვია ფონდ „სოხუმს“. შეხვედრას ესწრებოდნენ ფონდის ხელმძღვანელები, ქუთაისისა და წყალტუბოს ამომრჩეველ ქალთა კლუბების წევრები, პროექტის ასისტენტები, ჟურნალისტები.

ფონდის თავმჯდომარემ **ალლა გამახარია** და თანათავმჯდომარემ **მერი გელაშვილი** ისაუბრეს მუშაობის ძირითად მიმართულებებზე, ამომრჩეველ ქალთა კლუბების წევრთა გააქტიურებაზე, მათ თანამშრომლობაზე ადგილობრივ სტრუქტურებთან და პოლიტიკურ პარტიებთან.

აღინიშნა, რომ მიდის მუშაობა კანონში ცვლილებებზე და ამ ცვლილებების ლობირებაზე. ფონდი ცდილობს, დაუსაქმებელი ქალებისათვის დეკრეტული შვებულების ანაზღაურების მიღწევას.

სტუმრისათვის საინტერესო აღმოჩნდა ინფორმაცია ფონდი „სოხუმის“ ვებგვერდის შესახებ, რომელიც საკმაოდ ცოცხალი და დინამიურია და კარგად ასახავს ჩვენს ყოველდღიურ მუშაობას. ითქვა, რომ ფონდი დარეგისტრირდა სოციალურ ქსელშიც, რაც კიდევ უფრო ამაღლებს ჩვენს პასუხისმგებლობას, რადგან ინფორმაციას ჩვენს შესახებ უამრავ ქვეყანაში კითხულობენ.

პროექტის ასისტენტმა **მანანა ლემკაშელმა აღნიშნა:**

„თავიდან ოთხ ქალაქში ვმუშაობდით, ახლა კი დასავლეთ საქართველოს რვა ქალაქს მოვიცავთ. ჩვენს ამომრჩეველ ქალთა

ლიგას, რომელშიც რვა კლუბია გაერთიანებული, შევადარებდი ობობას ქსელს - თავისი განშტოებებით.

ჩვენ დავინყეთ მუშაობა ადვოკატირებისა და ლობირების კუთხით, რადგან კლუბის წევრი ქალები საჭიროდ მიიჩნევენ, თვითონ მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივი პრობლემების მოგვარების პროცესში.

თუ მანამდე სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის იყო ვაკუუმი, ეს ვაკუუმი თანდათან ივსება. ჩვენს კლუბებში მრავლად არიან საკრებულოს დეპუტატი ქალები, რომლებიც ერთგვარი შუამავლის როლში გამოდიან სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელისუფლებო რგოლს შორის. ხდება ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა კლუბს შორის. ქალები უფრო ინიციატივანნი და აქტიურნი გახდნენ“.

პოლიტიკურ პარტიებთან მჭიდრო ურთიერთობის შესახებ ილაპარაკა პროექტის ასისტენტმა **მირანდა გვანცელაძემ:**

„ჩვენ მთავარ სამუშაო მიმართულებად ავირჩიეთ ლობირება და ადვოკატირება. მჭიდრო კონტაქტი გვაქვს პოლიტიკურ პარტიებთან, რადგან მათთან თანამშრომლობა ერთ-ერთი გზაა ქალთა ჩართვისათვის პოლიტიკურ ცხოვრებასა და გადანიშნულების მიღების პროცესში.

ჩვენ ვეძებთ მხარდაჭერას რეგიონული პარტიული ორგანიზაციების მხრიდან სხვადასხვა ქალაქში არსებული პრობლემების მოგვარებისათვის.

პრობლემა ბევრია, ჩვენ შევიმუშავეთ მოსაგვარებელ საკითხთა ნუსხა. დასავლეთ საქართველოს გლობალური პრობლემაა უმუშევრობა. აქტუალურია ყველა კატეგორიის



მშობიარე ქალთა (და არა მხოლოდ იმათი, ვინც მუშაობს) დახმარების საკითხი. ვსვამთ საკითხებს: დეკრეტული შვებულება ერთი წლით, საპენსიო ასაკის შემცირება - დანევა.

პრობლემა ბევრია, მაგრამ დასაწყისისათვის ჩვენ გადავწყვიტეთ ვიზრუნოთ ერთ-ერთი მათგანის მოგვარებისათვის, ოღონდ ისეთი პრობლემისა, რომელიც შედარებით ბევრ ადამიანს ეხება.

რეკომენდაციებში ითქვა, რომ საჭიროა შეირჩეს ერთი კატეგორია ქალებისა, ვინაიდან სახელმწიფო „არ არის მზად“ დიდბიუჯეტური საკანონმდებლო ინიციატივების განსახორციელებლად.

ამომრჩეველ ქალთა კლუბებსა და საერთო ფორუმზე განხილვის შემდეგ ჩვენ გამოვედით საკანონმდებლო ინიციატივით, ყველა კატეგორიის მშობიარე ქალზე 600-ლარიანი დეკრეტული შვებულების შესახებ.

ჩვენ შევხვდით ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხების კომისიის წევრს მაგდა ანიკაშვილს.

გვქონდა შეხვედრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველ მოადგილესთან ნანა გუგუჩიასთან.

შედეგად მივალწიეთ იმას, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა (ადგილობრივ დონეზე) და მთავრობის ცენტრალური სტრუქტურების წარმომადგენლებმა განიხილეს ზემოთაღნიშნული ინიციატივა.

საკანონმდებლო ინიციატივაში ცვლილებების შესატანად შეირჩა უმუშევრ ქალთა კატეგორია, რომელთა ოჯახებიც სოცი-

ალური უზრუნველყოფის სააგენტომ სახელმწიფო სოციალური პროგრამით შეაფასა 70-100 ათასამდე ქულით. არის საკითხები დაზღვევასთან დაკავშირებით. საჭიროა დასაბუთებული სტატისტიკა - იმ ქალთა რაოდენობა, რომელთაც მშობიარობის პერიოდში სახელმწიფოსგან მიიღეს დახმარება და ისიც, რამდენმა იმშობიარა საკუთარი თანხებით. საჭიროების შემთხვევაში ყველა კლუბი მზად არის ხელმონერების შესაგროვებლად.

ქალები გააქტიურდნენ, გაუჩნდათ მოტივაცია, უფრო ცნობილი გახდნენ თავიანთ ქალაქებში. ჩვენი მუშაობის პროცესში გაჩნდა იდეა, ჩატარდეს ქალთა მშობიარობის დაზღვევის საკითხებთან დაკავშირებული სტატისტიკის კვლევა დასავლეთ საქართველოს მასშტაბით. მიგვაჩნია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია“.

ჟურნალის „ქალთა ხმა პოლიტიკაში“ რედაქტორმა **ლალი შენგელიამ** და ფონდი „სოხუმის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა **ემა კამკიამ** ისაუბრეს პროექტის საინფორმაციო ბლოკზე, იმაზე, თუ როგორ აისახება მუშაობა მასმედიაში. აღინიშნა:

„საინფორმაციო სექტორი კარგად შემუშავებული სტრატეგიით მუშაობს. ვამზადებთ პერიოდულ გამოცემებს, სატელევიზიო და რადიოგადაცემებს, ვცდილობთ ვაჩვენოთ ჩვენი მუშაობის ეტაპობრივობა, ევოლუციურობა. ჩანს ქალთა პოლიტიკური აქტიურობის მთელი დინამიკა, განსაკუთრებით აისახება მუშაობა სხვადასხვა პრობლემის ლობირების მიზნით. როცა საკითხს ვუწევთ

&gt;&gt;

# „თქვანი მუშაობა შეტად შთაბეჭდავია“ - მარტა ბერიძე

ქალთა მშპ პოლიტიკაში  
2013

>>

ლობირებას, მის უკან სოციალურად დაინტერესებული ადამიანები დგანან, რომლებიც ითხოვენ ამას. თუკი არის პრობლემა, ესე იგი, საჭიროა წერა, ლაპარაკი, რათა გადაიჭრას ეს პრობლემა.

მადლობა დემოკრატიის ეროვნულ ფონდს იმისათვის, რომ გვაძლევს კონკრეტული ცვლილებების საშუალებას.“

●

შეხვედრაზე აზრი გამოთქვებს ქუთაისისა და წყალტუბოს ამომრჩეველ ქალთა კლუბების წევრებმა.

**მაგული გიორგაძე**, მენეჯერთა საერთაშორისო ინსტიტუტის რექტორი (ქუთაისი): „იმის შემდეგ, რაც კლუბი დაარსდა, ძალიან ბევრი რამ ვისწავლეთ და გავაკეთეთ. ქალთა კლუბი საშუალო რგოლია ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. კლუბის წევრები ცდილობენ არ მოადუნონ ყურადღება. არის გაცვლითი შეხვედრები, ტარდება ტრენინგები, ფორუმები. ფონდის მუშაობა შეიძლება შეფასდეს, როგორც მნიშვნელოვანი.“

**ლია გვენეტაძე**, მწერალი (ქუთაისი): „მე ძალიან დაკავებული ვარ, მაგრამ ფონდ „სოხუმში“ მოსვლა ყოველთვის მიხარია. ჩვენს ქალაქში, ისევე როგორც სხვაგან, უამრავი პრობლემაა. არასოდეს მიფიქრია პოლიტიკაში მოსვლაზე, მაგრამ დიდი მხარდაჭერა ვიგრძენი აქტიურ ქალთა მხრიდან, ამიტომაც ვიყარე კენჭი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. ფონდი თავისი მუშაობით პრიორიტეტულია მთელი საქართველოს მასშტაბით და ხელს უწყობს ქალთა პოლიტიკური ინტეგრირების პროცესს, ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.“

**თინიკო ზაქარაშვილი**, ჟურნალისტი, უმაღლესი სკოლის მასწავლებელი (ქუთაისი): „აქ, ამ ფონდში, ჩვენ ვხვდებით საინტერესო ადამიანებს. ფონდი ნოვატორია, სიახლის წყაროა ბევრი მიმართულებით - მაგალითად, გენდერულ საკითხებში. ხშირად ვიკრიბებით, განვიხილავთ სხვადასხვა სა-

ჭირობოროტო საკითხს. ყურადღება შევაჩერეთ ქალაქის შიდა ტრანსპორტზე, რომელიც 6 საათის შემდეგ არ მუშაობს. დავსვით სასმელი წყლის პრობლემაც. მართალია, ძალიან გაგვიჭირდა, არაერთხელ მივუბრუნდით ამ საკითხს, მაგრამ მაინც მივალწიეთ გარკვეულ შედეგს“.

**თეონა გოგიშვილი**, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორი (ქუთაისი): „დიდი ხანია ქალთა კლუბის წევრი ვარ. ყოველი შეხვედრა რაღაც სიახლეს მოიცავს და სასიამოვნოა, ვინილავთ ქალთა ცხოვრებასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს. ჩვენ აქტიურ თანამშრომლობა გვაკავშირებს“.

**გულნარა ლაკერბაია**, ქუთაისისა და წყალტუბოს კლუბების ლიდერი: „კლუბის წევრი ქალები სხვადასხვა პარტიას წარმოადგენენ, ჩვენ ვინილავთ პრობლემურ საკითხებს, ვკამათობთ კიდევაც, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვახერხებთ აზრების შეჯერებას და „მშვიდობიანად“ ვშორდებით ერთმანეთს, რადგანაც ჩვენთვის მთავარია არა ქიშპობა და შეჯიბრება, არამედ არსებული მდგომარეობის სასიკეთოდ შეცვლა, ქალთა პოლიტიკური ფრთის გაძლიერება უკეთესი ხვალისდელი დღისათვის“.

**ნანა კობალიანი**, ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრი (წყალტუბო): „კლუბში 25 ქალი ვართ. ქალაქის აქტიური, მებრძოლი ქალები არიან შეკრებილნი. კლუბი არის დევნილ ქალთა შესაძლებლობების გამოვლენისა და აქტიურობის ასპარეზი. ადვოკატირების გზით ვაგვარებთ ჩვენს პრობლემებს.“

**მზია მუშკუდიანი**, ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრი (წყალტუბო): „მე დიზაინერი ვარ, დახურულ სივრცეში მიწევს მუშაობა. ჩემთვის კლუბში მისვლა ერთგვარი განმუხტვაა. უარყოფითი ემოციებისაგან ვიცილები ამ საინტერესო ქალებთან ურთიერთობით მეტის გაკეთების სურვილი მიჩნდება. კლუბის წევრობამ და საერთოდ ფონდმა „სოხუმმა“ გამააქტიურა და გამაძლიერა“.

ნატო ჩხორთოლია

# ამომჩივალ ქალთა ლიგა: პრობლემები, შედეგები, სწავლებები

ქალთა სსპ პოლიტიკაში

ამომჩიველ ქალთა ლიგამ პრობლემების კლასიფიკაცია და მათი გადაჭრის გზების ძიება დაიწყო: ჩატარდა შეხვედრები დასავლეთ საქართველოს რვა ქალაქში მოქმედ კლუბებში, გაიმართა დისკუსიები სხვადასხვა საკითხზე - ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების ადვოკატირება და ლობირება, ადგილობრივი თვითმმართველობისა თუ მედიის როლი პრობლემების გადაჭრაში...

კლუბს ესწრებოდნენ როგორც მისი აქტიური წევრები, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობისა და მასმედიის წარმომადგენლები, დევნილთა სამსახურის თანამშრომლები.

შეხვედრების მიზანმა გაამართლა - ადგილობრივმა თუ დევნილმა მოსახლეობამ მეტი გაიგო ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტისა და საკრებულოთა სოციალური პროგრამების შესახებ.

პრობლემების ეფექტურად გადაჭრის სურვილით და დადებითი ცვლილებების მოლოდინში კლუბების წევრი ქალბატონები გახდნენ მონაწილენი საინტერესო ვორკშოპებისა თემებზე - ლობირება და ადვოკატირება, ლიდერი და მისი გუნდი. კლუბის წევრები გაეცნენ ლიდერის ტიპებს, გუნდური მუშაობის პრინციპებსა და მნიშვნელობას.

მიღებული ცოდნის საფუძველზე, ლიდერი და გუნდური უნარ-ჩვევების მიღების შედეგად ქალბატონებმა ადვოკატირებისა და ლობირების სწორად გათვლილი ნაბიჯები გადადგეს, რასაც შესაბამისი შედეგები და ცვლილებები მოჰყვა...

### პრობლემა მართლაც ბევრია...

მუშაობის საწყის ეტაპზე ქალები მხოლოდ ერთ პრობლემას ეჭიდებიან. მსჯელობენ რამდენიმეზე და საბოლოოდ ირჩევენ მხოლოდ ერთს!

**ქუთაისის** კლუბზე ასეთი პრობლემა დაისვა: ქალაქში ლამის საათებში არ მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ეს უამრავ პრობლემას იწვევს.

**ხონის** ამომჩიველ ქალთა კლუბზე აღინიშნა, რომ მოსახლეობას მიეწოდება დაბინძურებული სასმელი წყალი, რაც საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას.

**ბათუმში** არიან სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც ერთიანი სოციალური ბაზიდან ამოვარდნენ და ხელახალ გადამომებას საჭიროებენ.

**სობელი** ქალები აღნიშნავენ, რომ აუცილებელია იყოს ქალთა ონკოლოგიური და გინეკოლოგიური დაავადებების გამოკვლევის შესაძლებლობა თავიანთ ქალაქში.

>>



გაცვლითი შეხვედრა ზუგდიდში

# ამომხრავად ქალთა ღიზა:

## პრობლემათი, შედეგათი, სპეციფიკით

ქალთა სსპ პოლიტიკაში უმც

>>

**ფოტოში** უფრო გლობალურ საკითხს ეხებიან - შვილად აყვანის პროცედურას, რაც დიდ სირთულეებს უკავშირდება. ქალები შემოდიან წინადადებით, გამარტივდეს კანონი შვილად აყვანის შესახებ. მათთვის აქტუალურია ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვების საკითხიც. აღნიშნავენ, რომ ამ კატეგორიის ბავშვებისათვის ქალაქში არ არსებობს სპეციალური სკოლა.

**ზუგდიდში** მიიჩნევენ, რომ სამშვილდანი დედა უსათუოდ უნდა ჩაითვალოს მრავალშვილიანად და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყოს მათთვის სპეციალური თანხები.

**წყალტუბოში** დევნილი სტუდენტების გადაადგილების საკითხი დაისვა. კლუბის წევრების აზრით, დევნილი სტუდენტებისთვის წყალტუბოდან ქუთაისში მგზავრობა უნდა იყოს უფასო ან შეღავათიანი. ეს ხელს შეუწყობს მათ სრულფასოვან განათლებას.

**ოზურგეთში** არის ქუჩები, სადაც საერთოდ არ მოძრაობს ტრანსპორტი, ამიტომაც ამ პრობლემის მოგვარება მეტად საშური საქმეა.

პრობლემების ეფექტურად გადაჭრის მიზნით ყოველ კლუბში შეიქმნა ადვოკატირების ხუთკაციანი ჯგუფი, მათი მეშვეობით ეს საკითხები ადგილობრივ თვითმმართველობასა და მედიაში დაისვა.

ადვოკატირების ჯგუფებმა რამდენიმე

კეთილი საქმე უკვე გააკეთეს: ხონში ერთ-ერთ დევნილ ქალბატონს 6 თვის განმავლობაში გამორთული ჰქონდა დენი. აქტივისტებმა პრობლემა დასვეს დევნილთა სამმართველოში და რამდენიმე დღეში მოაგვარეს კიდევ.

ბათუმში ერთ სოციალურად დაუცველ ოჯახს ფულადი დახმარება მოუხსნეს. ადვოკატირების ჯგუფმა პრობლემა ბათუმის სოცურუნველყოფის სამსახურში დასვა. შედეგად - საკითხი გადამოწმდა და ოჯახს ხელახლა დაენიშნა სოციალური დახმარება.

ბათუმის ქალთა კლუბის წევრებმა ქობულეთის უსინათლოთა კავშირის შენობის დახურვის საკითხიც გადაჭრეს ქობულეთის ადგილობრივ თვითმმართველობაში - კავშირის წევრებს შენობის პირველი სართული გამოუყვეს.

### გაცვლითი შეხვედრები

ოზურგეთის, ხონისა და ქუთაისის ამომრჩეველ ქალთა კლუბების წევრები წყალტუბოში ჩავიდნენ, ერთმანეთს კლუბის მუშაობა გააცნეს და თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს. დაათვალიერეს საკურორტო ქალაქი, იყვნენ ცნობილ მეექვსე წყაროზე.

გაცვლითი შეხვედრა ჩატარდა ხობშიც - შეხვედრაზე მონვეული იყო ხობის გამგებლის რწმუნებული კარლო ჯობავა, დე-



ფოტოგამოფენა ხობში



ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა ოზურგეთში

პუტატები დალი გერგაია და მანანა შულაია. საკრებულოს წევრებმა კლუბის წევრებს ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური პროგრამები გააცნეს.

გასვლით შეხვედრას ზუგდიდში ბათუმისა და ხობის ქალთა კლუბის წევრები ესწრებოდნენ. მათ დადიანების სახლ-მუზეუმში დაათვალიერეს ექსპოზიციები.

ოზურგეთში, ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმში ხუთი ქალაქის: ბათუმის, ფოთის, ქუთაისის, ოზურგეთისა და წყალტუბოს წარმომადგენლები შეიკრიბნენ - მათ სასიქადულო ქართველის ფოტო თუ ბეჭდვითი მასალა დაათვალიერეს.

მსგავსი შეხვედრები ხელს უწყობს კლუბის წევრთა დაახლოებას, ინფორმირებას, გუნდურ მუშაობას, აზრთა და გამოცდილებათა ურთიერთგაცვლას.

**შედეგები, ცვლილებები**

ამაღლდა თანამშრომლობის ხარისხი ამომრჩეველ ქალთა კლუბებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის.

ოზურგეთის ქალთა კლუბმა პრობლემების პაკეტი წარუდგინა საკრებულოს წევრს - ირინა საჯაიას.

ბათუმის კლუბის წევრმა, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენელმა, საკრებულოს დეპუტატმა ნაზიბროლა ქობულაძემ ადგილობრივი ბიუჯეტის და სოციალური პროგრამების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა კლუბზე.

წყალტუბოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელმა - ომარ ბედენაშვილმა ვრცელი ინფორმა-

ცია გააკეთა დევნილთათვის ბინების გადაცემასთან დაკავშირებით.

ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბმა ჩაატარა კონფერენცია თემაზე „გამორჩენილი ოზურგეთელი ქალები“. მომხსენებლებმა ისაუბრეს არა მარტო ისტორიულ პიროვნებებზე, არამედ 21-ე საუკუნის, ანუ ჩვენს გვერდით მყოფ აქტიურ ლიდერ ქალბატონებზე...

ხობელი ფოტოგრაფის გენო ფილიას ფოტონამუშევრების გამოფენა მოეწყო ხობში. „ხობის მოამბის“ რედაქციაში შეკრებილმა კლუბის წევრებმა 74 წლის ფოტოხელოვანის 30-ზე მეტი ქალის პორტრეტი დაათვალიერეს.

გაიზარდა კლუბში განვერიანების მსურველთა რიცხვი - ყოველ ახალ შეხვედრაზე ახალი სახეები ჩნდება. განახლდა შემადგენლობა ბათუმში - წევრთა შორის არიან თბილისის ევროპული უნივერსიტეტის სტუ-

>>



შეხვედრა ფოთში



შეხვედრა წყალტუბოში

# სამომავლოდ ქალთა ღიზა: პრობლემები, შედეგები, სვლილებები

დენტები, ლექტორები, მეცნიერ-მუშაკები, უსინათლოთა კავშირის წევრები, ადვოკატები. კლუბს შემოუერთდნენ ქობულეთსა და ხელვაჩაურში მცხოვრები ქალბატონებიც.

გაიზარდა კლუბის წევრთა ინფორმირებულობის, გამოცდილების, პოლიტიკური განათლების დონე.

კლუბის აქტიური წევრები დარეჯან ცხვიტარია (ფოთის საკრებულოს დეპუტატი, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე) და დალილა ჩიქავა (ზუგდიდის

საკრებულოს დეპუტატი) ფონდი „სოხუმის“ რეკომენდაციით ბელგიასა და ესტონეთში იმყოფებოდნენ ერთკვირიანი ვიზიტით - ამ შეხვედრების შესახებ ინფორმაცია მიიღო რვავე კლუბმა.

სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი შედეგი, ცვლილება გვექნება, კიდევ უფრო გაიზრდება კულტურული, გასვლითი თუ ერთობლივი შეხვედრების რაოდენობა და მნიშვნელობა.

მანანა ლეშაკაშვილი

ქალთა სსპ პოლიტიკაში  
2013



შეხვედრა ხონში



გაცვლითი შეხვედრა ქუთაისში



კლუბი ბათუმში

**ჩვენი დღესასწაული**

ჩვენი ჟურნალის (მანამდე კი გაზეთის „ქალთა სსპ პოლიტიკაში“) დაბადების დღიდან მუშაობს ხათუნა გოგუა კორესპონდენტად.

წერს ქალთა ლიდერობის ფენომენზე, აქტიურ ქალებზე.

წერს ისე საინტერესოდ, რომ ვერ დაივიწყებ სტატიებს, რომელთა ქვეშ მისი გვარი წერია.

ახლა ხათუნა დეკრეტულ შვებულებაშია.

24 მაისს დაიბადა მისი ბიჭუნა - ზურიკო ჯალალონია.

ჩვენს ქალთა ფონდში ეს ნამდვილი დღესასწაული იყო!

ვულოცავთ ხათუნასა და მთელ მის ოჯახს ზურიკოს დაბადებას, ჯანის სიმრთელეს, სიყვარულს, ბედნიერებასა და ოჯახურ სიმყუდროვეს ვუსურვებთ!

**ფონდი „სოხუმის“  
საკანონმდებლო ინიციატივა**

ხათუნამ მშობიარობისათვის სახელმწიფოსაგან 600 ლარი მიიღო. გაუმართლა, იმიტომ რომ მუშაობს.

გაუმართლა იმიტაც, რომ მას კომპანია „ალდაგის“ დაზღვევა აქვს. ესეც - სამსახურის წყალობით.

მათ, ვინც არ მუშაობს, სახელმწიფო არ უხდის 600 ლარს. ეს ძალზე აქტუალური პრობლემაა ქალებისათვის და სწორედ ამიტომ ფონდმა „სოხუმმა“ შეიმუშავა საკანონმდებლო ინიციატივა:

„საქართველოს მოქალაქე ყველა მშობიარე ქალისათვის სახელმწიფოს მხრიდან დახმარება უნდა განისაზღვროს 600 ლარით“.

**ბანკარტაჟითი წერილიდან**

„არსებული მდგომარეობის გამო განსაკუთრებით ის ქალები ზარალდებიან, რომლებიც დასაქმებულნი არ არიან და, არსებული კანონმდებლობით, მშობიარობის ხარჯები არ უნაზღაურდებათ.

...აღნიშნული ინიციატივა სერიოზული სტიმული გახდება იმ ქალებისათვის, რომლებიც არ მუშაობენ და ოჯახების მძიმე სოციალური



მდგომარეობის გამო იძულებულნი ხდებიან, უარი თქვან შვილის გაჩენაზე“.

**ქალების აზრი**

● „კარგი იქნება, ეს ინიციატივა თუ განხორციელდება. ეს იქნება მხარდაჭერა ქალისათვის. ის სახელმწიფოსაგან იგრძნობს ყურადღებას და უფრო თავდაჯერებული გახდება. უმუშევარი ქალებისათვის ეს მართლაც მნიშვნელოვანია“.

**სოფიკო კაკულია**  
მედა, დროებით უმუშევარი

● „600-ლარიანი დახმარება იმოქმედებს დემოგრაფიული პრობლემის მოგვარებაზე. ერი უნდა გამრავლდეს, ამ საქმეში ქალი მთავარია და თუ ის სახელმწიფოსაგან მხარდაჭერას იგრძნობს, ძალიან კარგი იქნება“.

**ია გომონია**  
დევენილი ტყვარჩელიდან, უმუშევარი

● „ქალს, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ მუშაობს, ნამდვილად სჭირდება სტიმული, მატერიალურიც და ფსიქოლოგიურიც. ასეთი დახმარება მისთვის აუცილებელია“.

**სოფიო ცარციძე**  
ფილოლოგი

ამომრჩეველ ქალთა კლუბებში ქალთა ყოველი შეხვედრა განსხვავებული შინაარსისა და დატვირთვის მატარებელია. ამ მხრივ გამონაკლისი არც ბათუმის ქალთა კლუბის 17 ივნისის შეხვედრა ყოფილა.

კლუბს ესტუმრა თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს წევრი **დარეჯან ცხვიტარია**.

მან შეკრებილთ გაუზიარა შთაბეჭდილებები ბელგიასა და ესტონეთში ვიზიტის შესახებ. პირველ რიგში, ქალბატონმა დარეჯანმა მადლობა გადაუხადა ფონდ „სოხუმს“ მხარდაჭერისა და ნდობისათვის, რადგან ის და ზუგდიდის საკრებულოს წევრი დალილა ჩიქავა სწორედ ფონდის რეკომენდაციით მოხვდნენ საქართველოს დელეგაციაში, რომელშიც ორი ქალბატონი და ხუთი მამაკაცი იყო.

დარეჯან ცხვიტარია ჩვეული ემოციურობითა და ენაწყლიანობით საუბრობდა:

„მიუხედავად გენდერული უთანასწორობისა, ქალები განსაკუთრებული აქტიურობით გამოვიჩნეოდით. გვანტერესებდა ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის საკითხი.

ჩვენ, დელეგაციის წევრები, შევთახმდით, რომ ყველანი ჩვენი ქვეყნის ჭირისუფლები უნდა ვიყოთ. ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა ქვეყნის აღმშენებლობაში. გულხელდაკრეფილი ყოფნა არ გვიშველის, უნდა ვიმშრომოთ და ჩვენი საკეთებელი ვაკეთოთ.

შეხვედრაზე, სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოს ნატოში განწევრიანების საკითხიც დაისვა: საქართველო როდის შეიძლება გახდეს ნატოს წევრი? რა პროცედურებია ამისთვის საჭირო?

„ერთ დღეს თქვენ აუცილებლად გახდებით ნატოს წევრი ქვეყანა. ამისათვის საქართველომ უნდა განაგრძოს ის კურსი, რომელსაც ადგას“, - ჩვენი ცნობისმოყვარეობის პასუხად ეს სიტყვები მივიღეთ.

ესტონეთში ნატოში განწევრიანებასთან დაკავშირებით დიდი გამოცდილება აქვთ.

მათ განაცხადეს, რომ მზად არიან, დაგვიხმარონ.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყანა, რეფორმების მხრივ მეორე ადგილზეა. ეს დიდი წინსვლაა. შეიძლება ბევრი ვერ ხედავს რეფორმებს, ცვლილებებს, მაგრამ მთავარი მიღწევების დაუნახაობა ნამდვილად არ შეიძლება. რა თქმა უნდა, ჯერაც ბევრი რამაა გასაკეთებელი, მაგრამ ვაკეთებულის დანახვის ნიჭიც უნდა გვქონდეს.

ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში ვიზიტისას, ჰოლში მოენყო გამოფენა, რომელიც მიეძღვნა ქართველ ჯარისკაცებს.

გამახსენდა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის ვიზიტი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან. იმედეგაცრუება და სინანული, რომ შენი პატარა ქვეყნის ბედი არავის ადარდებს. დღეს სულ სხვა სურათი გვაქვს - საქართველოს ბევრი მხარდამჭერი ჰყავს მსოფლიოში.

დარეჯან ცხვიტარიამ ისაუბრა ამომრჩეველ ქალთა კლუბებში მსგავსი შეხვედრების მნიშვნელობაზეც:

„ჯერ ერთი - ადამიანები უახლოვდებიან ერთმანეთს, სწავლობენ ერთმანეთის ჭირ-ვარამის გაზიარებას. ერთ გუნდად ყალიბდება ამა თუ იმ ქალაქის ამომრჩეველ ქალთა კლუბი და საკუთარ კუთხეში ცხოვრების გაუმჯობესებისათვის იწყებს ზრუნვას.

მეორეც, ეს შეხვედრები ხელს უწყობს ქალთა გააქტიურებას, მათი თვითშეფასების ხარისხის ამაღლებას, ადამიანური რესურსების უკეთ გამოყენებას. ამ შეხვედრების წყალობით ბევრმა ქალმა გაიგო, რომ ის განზე კი არ უნდა იდგეს და უყურებდეს, ვინ რას გააკეთებს მის ქალაქში, არამედ თითოეულმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ყოველი ჩვენგანისათვის სასიკეთო პროცესებში.

მესამე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ ფონდმა „სოხუმმა“ დაინყო სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის დიალოგი, რათა ერთად



ვიმუშაოთ პრობლემების მოგვარებაზე. ფონდმა ერთმანეთს დაგვაახლოვა სხვადასხვა რეგიონის საკრებულოს დეპუტატები, ჩვენ გაცვლითი შეხვედრებისა და ფონდში გამართული ფორუმების დროს საშუალება გვქმნიდა, ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი მიღწევები, პრობლემები, შეხედულებები. ჩვენი ქალაქის საკრებულოს სოციალური პაკეტი სწორედ ამ შეხვედრების დროს გავაცანით სხვა საკრებულოების წარმომადგენლებს და, იმედია, სხვაგანაც დაინერგება ჩვენი დადებითი გამოცდილება“.

• ბელგიასა და ესტონეთში ვიზიტთან დაკავშირებით გაცნობითი ხასიათის შეხვედ-

რა ყველაზე პირველად ფოთის ამომრჩეველ ქალთა კლუბში ჩატარდა.

შემდეგ ქალბატონი დარეჯანი ქუთაისის ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრებთან ჩამობრძანდა. აქაც საინტერესო დისკუსია გაიმართა.

შეხვედრებზე გამოითქვა აზრი, რომ ჯერ კიდევ შორს ვართ ქალთა ნამდვილი აქტიურობისაგან. ძალიან გულსატკენია, რომ მთელი რიგი მიზეზების გამო, ქალთა დიდი ნაწილი ვერ მონაწილეობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში. მაგრამ, მთავარია, რომ ამ მხრივ მუშაობა მეტი ტემპით მიმდინარეობს.

ნატო ჩხორთოლია

**ინტერნეტ-საზოგადოებრივი**

- 2007 წლის ნოემბერში პარლამენტში კავშირმა გამოაქვეყნა მსოფლიოს ქვეყნების რეიტინგი ნაციონალურ პარლამენტებში წარმოდგენილი ქალების რაოდენობის გასარკვევად: შვეიცარია 22-ე ადგილზეა, აშშ - 65-ზე, რუსეთი - 95-ზე... საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის თვალსაზრისით ლიდერია რუანდა.
- შვედეთი მაქსიმალურად მიუახლოვდა გენდერული საკითხის საბოლოო გადაწყვეტას. ამ ქვეყანაში მეცნიერების, ხელოვნების, მრეწველობის სფეროში და თვით პოლიტიკაშიც კი, ქალები და მამაკაცები თანაბრად არიან წარმოდგენილნი. ყურადსაღებია, რომ სწორედ შვედეთშია ქალთა დასაქმებულობის ყველაზე მაღალი დონე (79%). შვედ ქალებს საოჯახო მოვალეობებთან სამსახურის შეთავსებაში სოციალური დაზღვევის პროგრესული სისტემა ეხმარება.

[www.swissworld.org](http://www.swissworld.org)

[www.liveinternet.ru](http://www.liveinternet.ru)

# სტიმული, ცოდნა და ბრძოლის უნარი

1985 წლიდან არის უსინათლოთა კავშირის ბიუროს წევრი.  
2006 წლიდან - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორი ბათუმის 45-ე უბანში.  
ამხანაგობა „ალგეთის“ თავმჯდომარე.  
2006 წლიდან დღემდე ჯერ - ფონდი „სოხუმის“ ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრი, შემდეგ კი ლიდერი.  
ეთერ დიასამიძე დაიბადა ზღვისპირა ქალაქ ბათუმში. დაამთავრა 22-ე სკოლა, შემდეგ - ტექნიკური სასწავლებელი.  
ჰყავს მეუღლე, ოთხი შვილი და ოთხი შვილიშვილი (მეხუთეს ელოდება).



ქალთა სსიპ ბაქალიციაში უმც

საკუთარ თავს ასე აფასებს: „ვარ მშვიდობიანი, კონფლიქტების დამრეგულირებელი - არაერთი ოჯახური თუ მეზობლური კონფლიქტი მომიგვარებია, ბევრი ცოლქმარი შემირიგებია, უფრო მეტიც - გაქცეული ცოლები მომიბრუნებია ქმრებისათვის!“

არის შუამავალი მოსახლეობასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორისაც.

„ამ უნარის გამომუშავებაში ფონდ „სოხუმთან“ თანამშრომლობა დამეხმარა - დავესწარი არაერთ ტრენინგს, ვორკშოპს - შეძენილ ცოდნას სხვებსაც ვუზიარებ.“

დასტურად რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს გეტყვით: ერთ-ერთ ამომრჩეველ ქალთა კლუბზე ქობულეთის უსინათლოთა კავშირის შენობის დახურვის საკითხი დაევსეთ. მივმართეთ ქობულეთის საკრებულოს. როგორც კი ვახსენეთ, რომ ჩვენ ვართ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ადვოკატების ჯგუფის მოთხოვნა იმწამსვე დაკმაყოფილდა - კავშირს შენობის პირველი სართული გამოუყვეს.

კიდევ ერთი მაგალითი: ბათუმის უსინათლოთა კავშირის წევრებმა მერიაში საქალაქო ტრანსპორტით უფასოდ მგ ზავრობა მოვითხოვეთ, რასაც დადებითი შედეგი მოჰყვა. მივალნიეთ იმასაც, რომ უსინათლოებს ყოველთვიურად გვეძლევა ხუთლარიანი გაზის ტალონი, გათავისუფლებული ვართ ნავის გადასახადისაგან“.

ეთერ დიასამიძეს ფონდ „სოხუმთან“ თანამშრომლობამ სტიმული, ცოდნა და

ბრძოლის უნარი შესძინა. ის სასიამოვნოდ იხსენებს სომხეთში კლუბის სხვა წევრებთან ერთად გატარებულ დღეებს:

„მივესალმები გაცვლით შეხვედრებს. ბევრი საინტერესო ქალი აღმოვაჩინე. სომხეთის მაგალითზე გავეცანით ქალის როლს ადგილობრივ თვითმმართველობაში, მოსახლეობის ყოფას, პრობლემებსა თუ საჭიროებებს“.

ქალთა კლუბის ლიდერი განსაკუთრებით დადებითად აფასებს კლუბის მუშაობის ბოლო ექვს თვეს:

„ბათუმის კლუბი გადავხალისეთ, შემოვიერთეთ ახალი წევრები, ჩვენი მუშაობა უფრო ცოცხალი და აქტიური გახდა, პრობლემების მოგვარებაზეა ორიენტირებული. მოვავარეთ ერთი ოჯახის პრობლემა, რომელსაც ელემენტარული საცხოვრებელი პირობები არა აქვს და მოუხსნეს სოციალური დახმარება. ადვოკატების ჯგუფმა მივმართეთ ბათუმის სოცურუნველყოფის განყოფილების უფროსს, მინორი აბულაძეს - ოჯახი ხელახლა გადაამონმეს. აგენტი, რომელმაც არასწორად შეაფასა მდგომარეობა, სამსახურიდან გაათავისუფლეს. უნდა ნახოთ, რა გახარებულები არიან კუტუბიძეები, მადლობას გვიხდებიან“...

ვიმედოვნებთ, რომ მსგავსი მაგალითი ბათუმის ქალთა კლუბს კიდევ ბევრი ექნება - კიდევ არაერთ გამარჯვებას მიაღწევენ.

მათი წარმატებებით, რა თქმა უნდა, ჩვენც ვიამაყებთ.

მანანა ლეჟაშვილი

წევრები  
ქალთა  
სამაგრი  
კლუბები

ელზა კვარაცხელია დაიბადა ქ. ზუგდიდში.

1990 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა მე-15 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

2000 წელს - ამავე უნივერსიტეტის პედაგოგიკის ფაკულტეტზე.

2005-2007 წლებში მუშაობდა ზუგდიდის სპორტის აკადემიაში ბიბლიოთეკის გამგედ, 2007-2008 წლებში - საქართველოს ბანკში გაყიდვების მენეჯერად.

2010 წლიდან მუშაობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური საკითხების, საზოგადოებასთან, მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის განყოფილების უფროსად.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



ამბობს, რომ ფონდი „სოხუმის“ ამომრჩეველ ქალთა კლუბთან თანამშრომლობამ გაათავსა. აღიარებს, რომ მის წარმატებას სტიმული ამ ქალთა ორგანიზაციამ მისცა. სწორედ კლუბთან თანამშრომლობის შემდეგ გაუჩნდა სურვილი, საკუთარი ძალები სხვა სფეროებშიც ეცადა.

არჩევანი პოლიტიკაზე შეაჩერა...

დღეს შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს საქმიანი და აქტიური ქალბატონი ზუგდიდის ამომრჩეველ ქალთა კლუბის ერთ-ერთი წარმატებული და საამაყო წარმომადგენელია.

### ავტობიოგრაფი

„მე ვარ ის ადამიანი, რომელსაც უყვარს საკუთარი კუთხე, ქალაქი და თანაქალაქელები. ვარ ძლიერი, მიზანდასახული, შრომისმოყვარე, პრინციპული და სამართლიანი... ვფიქრობ, რომ ქალმა არასდროს არ უნდა დაკარგოს ქალურობა, უნდა ჰყავდეს ტრადიციული ოჯახი.“

საკრებულოში ჩემს გვერდით არიან განათლებული, გამოცდილი, წარმატებული ადამიანები. თამამად შემიძლია მათ ჩემი მეგობრები ვუნოდო, ხშირად ვეკითხები რჩევებს. ისინი მაძლევენ სტიმულს, ჩვენ ერთად ვიღებთ გადაწყვეტილებებს ადამიანების საკეთილდღეოდ.“

### ამომრჩეველ ქალთა კლუბის შესახებ

„ზუგდიდში ყოველთვიურად ტარდება საინტერესო შეხვედრები და დისკუსიები თემებზე: ქალის როლი საზოგადოებასა და პოლიტიკაში, ქალი და არჩევნები, პრობლემების ადვოკატირება და ლობირება და ა.შ.“

სწორედ კლუბთან თანამშრომლობის შემდეგ

აღმოვაჩინე, რომ საქართველოში ბევრი ლიდერი ქალბატონი ყოფილა და რომ ქალს შეუძლია, იყოს წარმატებული ერთდროულად სხვადასხვა სფეროში“.

### გენდერული სურათი პოლიტიკაში

„ხშირად ვესწრები ტრენინგებს, შეხვედრებს სხვადასხვა ქალაქებში, სადაც გენდერულ თანასწორობაზეა საუბარი.“

ერთ-ერთ შეხვედრას მოვიყვანიდი მაგალითად - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ რუსუდან კერვალიშვილმა მიგვიჩვენა „ეროვნულ ფორუმზე“, რომელზეც საქართველოს ყველა კუთხის ქალბატონებს მოგვეცა საშუალება, ერთმანეთს გავცნობოდით და გაგვეზიარებინა ჩვენი კუთხის პრობლემები.

გავეცანით საქართველოს კანონს გენდერული თანასწორობის შესახებ, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის განხორციელების გზებს საქართველოში. საუბარი იყო პოლიტიკაში ქალთა გააქტიურებაზე, ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობაზე მშვიდობის მშენებლობის პროცესში.

ვფიქრობ, რომ გენდერული ბალანსი ზუგდიდის მაგალითზე დაცულია. ზოგჯერ ხუმრობითაც კი ამბობენ, რომ გადაჭარბებულად ვართ ქალბატონები. საკრებულოს აპარატში ოთხი განყოფილებაა, აქედან მხოლოდ ერთი განყოფილების უფროსია მამაკაცი.“

**P.S.** ზუგდიდის საკრებულოში (ისევე როგორც საქართველოს ყველა რეგიონში) თანასწორობამდე გვრაც შორია - საკრებულოს დებუტატთა შორის მხოლოდ ერთი ქალბატონია...

მანანა ლეჟაველი

# „ქაღახი ხალხი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე!“

მაია ლურწყაია ზუგდიდში დაიბადა.

დაამთავრა მე-11 სკოლა. ძალიან საინტერესო ბავშვობა ჰქონდა. როგორც მისი თაობის ყველა მოსწავლე-ახალგაზრდა, თავადაც დიდი სიხარულით ატარებდა წითელ ყელსახვევს, კომკავშირელის ბილეთს. სკოლის დამთავრების შემდეგ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა.

1997 წლიდან 2008 წლამდე იყო მედიაში. 1997 წელს მუშაობდა დაიწყო დამოუკიდებელ ტელევიზია „ოდიში“ საინფორმაციო კორესპონდენტად. იყო პირველი არხის, ტელეკომპანია „მზის“ სამეგრელოს რეგიონის კორესპონდენტი და ბიუროს უფროსი.

2000 წელს პარალელურად მუშაობდა სამეგრელოს რეგიონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრესსამსახურის უფროსად. 2004 წელს - ზუგდიდის რაიონის გამგეობის პრესცენტრის უფროსად. 2004 წლიდან არის არასამთავრობო ორგანიზაცია „სოლიდარიზმის“ თანამშრომელი. 2005 წლიდან იყო რეგიონული გაზეთ „კოლხური ვერსიის“ კორესპონდენტი, სამეგრელოს რეგიონის დამოუკიდებელი მედიაჯგუფის წევრი.

2008 წლიდან საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის კომიტეტის წევრია.



ქალთა სქმა პოლიტიკაში 2013

პარტიის რაიონულ ორგანიზაციაში მისი როლი მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობაა.

გავლილი აქვს უამრავი ტრენინგ-სემინარი და არის ათეულობით სერტიფიკატის მფლობელი, რომელთაც მაგიდის ერთ უჯრაში ინახავს.

რას აძლევს მშვენიერ და ძლიერ ქალბატონებს ფონდ „სოხუმთან“ თანამშრომლობა?

ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად ზუგდიდის ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრი მაია ლურწყაია ავირჩიე - მასთან საუბარი იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ ვეცადე მკითხველისათვის უფრო ახლოს გამეცნო.

- დიდი სიხარულით მივდივარ კლუბის შეხვედრებზე, იმიტომ რომ აქ ამდენი ლამაზი და აქტიური ქალი იყრის თავს, იმართება საუბრები საინტერესო და მრავალფეროვან თემებზე. კლუბი ხელს უწყობს განათლებული ქალების გააქტიურებას და ხშირ შემთხვევაში - საკუთარი თავის პოვნას...

### არჩევანი - ჟურნალისტიკიდან პოლიტიკაში

„რატომ? თქვენ და მკითხველმა სწორად რომ გაიგოს ჩემი, მინდა გითხრათ

და გკითხოთ, საომარი მოქმედებების პერიოდში, როცა გინდა იღებდე, აკეთებდე ჩართვებს ეპიცენტრიდან, რეპორტაჟებს საომარი მოქმედებების დროს, ადვილი იქნებოდა ჩემთვის მედიიდან წასვლა და უმოქმედობა?!

ჩემი პოლიტიკაში გადასვლა არ იყო ნაბიჯი, რომელიც სიხარულით გადავდგი, ეს იძულება იყო. დიდხანს ვფიქრობდი, თუმცა, არ ამომირჩევია პოლიტიკური პარტია... მაინც ძალიან გამიმართლა...

არსებობს კიდევ ბევრი მიზეზი: როდესაც სამსახურში გეტყვიან, შენ არა ხარ ჩემი გუნდის წევრი და არ უნდა მუშაობდე ჩემთან... გაზეთის კორესპონდენტი რომ დაინტერესდები, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ახალარჩეულ პრეზიდენტს შენი რეგიონის განვითარებისათვის რა პროექტები აქვს, დაიწყებ ამ თემის საგაზეთოდ მომზადებას და როდესაც ამ მასალას დაგიბლოკავენ, ან რედაქტორს დაემუქრებიან გაზეთის დახურვით, როგორც ჟურნალისტს, აგიკრძალავენ არჩევნების დღეს დააკვირდე არჩევნებს, ცენტრალური ტელევიზიიდან გაგიშვებენ, იმიტომ რომ რომელიმე დეპუტატის ნათესავი არა ხარ, მაშინ გიჩნდება უსამართლობის გრძნობა და იწყებ სამართლის

ძებნას, მაგრამ ამოდ! სხვა გზა არ გრჩება, უნდა იპოვო ის გზა, სადაც იპოვი სიმართლეს, სწორედ მაშინ მივიღე მიწვევა დავით უსუფაშვილისგან, მაშინ, როდესაც საგაზეთო სტატიისათვის ინტერვიუს ვამზადებდი. ჩემი ინტერესები და ბრძოლა მომავლისათვის ზუსტად დაემთხვა ამ პარტიის პლატფორმას და 2008 წლიდან აქტიურად ვარ ჩართული რესპუბლიკურ პარტიაში“.

**ხვალინდელი დღე - კვლავ პოლიტიკა და ჟურნალისტიკა...**

„თქვენ მეკითხებით, ვაპირებ თუ არა უფრო დიდ პოლიტიკაში მოსვლას? ჯერ კიდევ არა მაქვს განსაზღვრული, რადგან ჯერ კიდევ ვარ მიჯაჭვული ჟურნალისტიკას, ჯერ კიდევ ვფიქრობ, რომ აუცილებლად შეიცვლება ვითარება და მჯერა, რომ მოვახერხებ ისევ მედიაში დაბრუნებას. თუმცა, არ გამოვრიცხავ დიდი პოლიტიკისაკენ ნაბიჯის გადადგმას...“

ჩემი აზრით, პოლიტიკა ქალის საქმეა, ქალი იმდენად უნდა იყოს ჩართული პოლიტიკაში, რამდენადაც ოჯახში, სამზარეულოში. ქალს გააჩნია უნარი, რომ ერთდროულად გაართვას თავი ყოველივეს, ქალი საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პოლიტიკაში შემოიტანს ლიბერალურ დამოკიდებულებებს.

მიმაჩნია, რომ ქალის გადაწყვეტილებები უფრო ლოიალურია. ამიტომ, რაც მეტი ქალი იქნება პოლიტიკაში და აქტიურ ცხოვრებაში ჩართული, უფრო მეტი შედეგი გვექნება. სამწუხაროა, რომ ბოლო პერიოდში ეს ტენდენცია უკანა პლანზეა, მიუხედავად იმისა, რომ მინისტრის პორტფელის მფლობელი რამდენიმე ქალიც გვყავს“.



მაია ლურწკაია თავისი ცხოვრების ფურცლებს მიშლის - ბავშვობა, სტუდენტობა, ტელევიზია, ჟურნალისტიკისათვის დამახასიათებელი ფათერაკებით სავსე დღეები, შემდეგ კი - პოლიტიკური სარბიელი...“

პოლიტიკა და ჟურნალისტიკა, ჟურნალისტიკა და პოლიტიკა - ეს ორი სფერო ასე შეუცვლელი და ასე ერთმანეთზე გადაჯაჭვულია მის ცხოვრებაში... ალბათ ამიტომაცაა, რომ მონაცვლეობით ხან ერთზე და ხან მეორეზე გვინევდა საუბარი, რაც, ალბათ, დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს.

მანანა ლეჟაველი

# ინტერვიუ- შპსი



პოლონეთის პარლამენტმა მონა კანონპროექტი, რომელიც მიმართულია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისაკენ.

ახალი კანონის შესაბამისად, ქალები, ქვედა პალატის ყველა პოლიტიკური პარტიის სიებში საერთო კანდიდიტების (რომელთა ადგილების საერთო რაოდენობა 460-ია) 35% უნდა შეადგენდნენ.

ეს წესი არ ვრცელდება ზედა პალატის - სენატის - არჩევნებზე, სადაც 100 ადგილია.

იდეა წამოაყენა პოლონეთის ქალთა კონგრესმა, რომელმაც პარიტეტის პროექტი (50%) მოამზადა და მხარდამჭერთა 100 ათასი ხელმოწერა შეაგროვა.

სამწუხაროდ, პროექტის თავდაპირველი ვარიანტი პარლამენტის წევრებმა საგრძნობლად შეცვალეს. დღეისათვის, ქალები ქვედა პალატის დეპუტატთა 20%, ხოლო სენატორთა 8% წარმოადგენენ.

მომდევნო საპარლამენტო არჩევნები 2011 წლის შემოდგომაზეა დანიშნული.

www.karat.org

ქალთა სპეციალური ფონდი

# „იზისათვის, რომ სამხე აკათო, ახსილახალი არაა, იყო პარტიის წევრი“

ნანა თავდუმაძე - დაიბადა ოზურგეთში.

პროფესია - ჟურნალისტი.

დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა გაზეთსა თუ ტელევიზიაში - „გურია“, „ალიონი“, „იმედი“.

არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი - 1992-93 წლებში იმყოფებოდა ქართულ-აფხაზურ ომში.

2006 წლიდან დღემდე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსია.

არის ფონდი „სოხუმის“ ამომრჩეველ ქალთა კლუბის აქტიური წევრი. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



ქალთა სქმა პოლიტიკაში 2013

„ქალთა ხმისთვის“ მასალის მომზადება და ნანა თავდუმაძესთან გასაუბრება სხვადასხვა მიზეზის გამო ინტერნეტით ვცადე - ერთ-ერთ შეხვედრაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობაში, მახსოვს, ჩვენი „მაილები“ გავცვალეთ, რადგან უდროობის გამო მისი ჩანერა მაშინ ვერ მოვახერხე. შემპირდა, რომ მომწერდა ინტერნეტით და, თუ საჭირო იყო, საკრებულოს სხვა წევრებსაც დამაკავშირებდა. პირობა შეასრულა, ჟურნალისტიკისთვის დამახასიათებელი ოპერატიულობით მიპასუხა...

ჩვენი ვირტუალური ურთიერთობა საკმაოდ საინტერესო გამოდგა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდის ნანას!

**- ქალბატონო ნანა, რაში გამოიხატება, თქვენი მისია ადგილობრივ თვითმმართველობაში.**

- საკრებულოში ჩემი საქმიანობა მრავალმხრივია. ვმუშაობთ სხვადასხვა პროექტზე, გავააქტიურებთ საერთაშორისო ურთიერთობები. ჩვენი უცხოელი პარტნიორების დახმარებით ვცდილობთ მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვას თვითმმართველობაში. სასურველ შედეგამდე ჯერ ადრეა, მაგრამ ჩვენ დავინყეთ...

**- ფონდ „სოხუმთან“ მრავალწლიანი მებრძობა და თანამშრომლობა გაკავშირებთ...**

- ნებისმიერი შეხვედრა თუ სხვადასხვა პროექტით განხორციელებული აქტივობები უალრესად მნიშვნელოვანია ქალთა გააქტიურებისა და მათთვის ლიდერობის უნარ-ჩვევების განვითარებაში. ფონდი გვანებივრებს სიახლეებით და, ვფიქრობ, თუკი ჩვენი ხმა ისმის პოლიტიკაში, ეს ფონდისა და ჩვენი საყვარელი ფონდელი მეგობრების დამსახურებაცაა.

**- რამ გამოიწვია აქტიური ჟურნალისტიკიდან პოლიტიკაში გადანაცვლება?**

- ნამდვილად არ არის იოლი, თუმცა გარკვეულ ეტაპზე, როცა გამოცდილებას იძენ და გასაკეთებელს, ზოგადად პრობლემებს, სხვადასხვა რაკურსით, უფრო სიღრმისეულად აფასებ, აუცილებელია გადანაცვლების მიღება - სად ხარ უფრო მეტად საჭირო და სად შეძლებ საკუთარი შესაძლებლობების სრულად რეალიზებას. ვერ ვიტყვი, რომ ჟურნალისტიკაში ჩემი თავი ამოვწურე, პირიქით, მქონდა და, რა თქმა უნდა, ახლაც გაცილებით მეტი მაქვს სათქმელი, ამიტომ მომიხდა, ასე ვთქვათ, პროფესიის „დათმობა“, ამ შემთხვევაში „კადრს მიღმა“ გადანაცვლება, ვფიქრობ, შედეგიანი და ეფექტური გამოდგა.

პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს საერთო ბევრი აქვთ. განსაკუთრებით - მოვლენათა ეპიცენტრში ყოფნა, საჭიროებათა კვლევა, სიახლეები...

იმისათვის, რომ საქმე აკეთო, აუცი-



ამომრჩეველ ქალთა კლუბი ოზურგეთის საკრებულოში შეიკრიბა

ქალთა სსპ პოლიტიკაში 2013

ლებელი არაა, იყო რომელიმე პარტიის წევრი. როგორც ჟურნალისტი, ყოველთვის ვცდილობდი, ვყოფილიყავი მიუკერძოებელი და ობიექტური. დღემდე ამ პრინციპს ვიცავ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღეს ვარ ჩემს თანამოაზრეებთან ერთად და ვაკეთებთ საქმეს, რომლისაც გვჯერა.

- **წლებია, ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრიც ხართ, როგორ შეაფასებდით მის მუშაობას?**

- ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბი დინამიური, ცოცხალი ორგანიზმია, სადაც ყველაზე მეტად ნახავთ კონსოლიდირებულ ქალებს, მათ მიერ ინიცირებული საკითხები ხელისუფლების მსჯელობის საგნადაც იქცე-

ვა ხოლმე. კლუბმა ნამდვილად გაამართლა ოზურგეთელი ქალების იმედები, ამიტომაც მასში გაერთიანების მსურველებიც მრავლად არიან.

ყოველთვის, როცა უსაშველო პრობლემები გეძალება, ცდილობ, იფიქრო რაღაც ამაღლებულზე, მშვენიერზე, იმაზე, რაც განწყობას შეგიქმნის და ენერგიით აგავსებს. ენერგია, შემართება, სურვილი, განწყობა ქალებისთვის დამახასიათებელი და ნიშანდობლივია. მთავარია, სივრცე გქონდეს.

დარწმუნებული ვარ, ჩვენ ერთად უფრო მეტს შევძლებთ. სხვანაირად არ შეიძლება. მე კიდევ მაქვს სათქმელი... გავერთიანდეთ!

**მანანა ლეჟაშვილი**

**ინტერნეტ-სახეები**

- ესპანურმა გაზეთმა „20 Minutos“ შეაჯამა ლამაზ ქალ-პოლიტიკოსთა გამოსავლენად ჩატარებული ინტერნეტ-გამოკითხვის შედეგები. ყველაზე ლამაზის ნოდებისათვის ერთმანეთს ექიშებოდნენ პრეტენდენტები 30 ქვეყნიდან: ისრაელიდან - ავღანეთამდე, ანგოლადან - ახალ ზელანდიამდე. გამარჯვებული ონლაინ-გვერდის ათასობით მომხმარებლის ხმით გამოვლინდა. პირველი ადგილი ერგო პერუელ ქერა კონგრესმენ ქალს - 30 წლის ლუჩანა ლეონს. კონკურსის ვიცე-მისი გახდა ლუჩანას თანამემამულე, ვაჭრობისა და ტურიზმის მინისტრი მერსედეს არაოსი. მესამე საფეხური დაიკავა სარა ლატიფ რუის ჩავესმა - მექსიკის რევოლუციური პარტიის წარმომადგენელმა. ჰილარი კლინტონი 34-ე ადგილს დასჯერდა. ის მონანილეთა შორის ყველაზე ასაკოვანი აღმოჩნდა. რეიტინგში შედარებით ფართოდ წარმოდგენილი იყო ესპანეთი: ხუთი პოლიტიკოსი-ლამაზმანი იღვნის ამ სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის.

[www.rate1.com.ua](http://www.rate1.com.ua)

## მამაკაცების არიან

ლაშა ცატავა ადგილობრივ ხელისუფლებასა და ამომჩიველ ქალთა კლუბებს შორის თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია. ის ქალთა შეხვედრების ხშირი და აქტიური მონაწილეა.

ამბობს, რომ ამ შეხვედრებზე დასწრება დიდ გამოცდილებას სძენს, ახლოს ეცნობა ქალთა პრობლემებსა და მათ საჭიროებებს. შეიცვალა მისი დამოკიდებულება ქალთა აქტიურობასა და მათ ჩართულობაზე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატს თანაქალაქელები ასე ახასიათებენ: ჭკვიანი, საქმიანი, თავაზიანი ახალგაზრდა.

ლაშა ცატავას ამომჩიველ ქალთა კლუბის ერთ-ერთ შეხვედრაზე გავესაუბრე.

- გვითხარით ცოტა რამ თქვენს შესახებ.

- ვცხოვრობ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხამისკურში. დავიბადე 1987 წელს. დავამთავრე სოხუმის ილია ვეკუას

სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი - ვარ საბაჟო საქმის მენეჯერი.

2007 წლიდან ვმუშაობ ხამისკურის საჯარო სკოლაში მასწავლებლად. 2009 წლიდან - გაზეთ „ხობის მოამბეში“ მარკეტინგის მენეჯერად.

2006 წლიდან დღემდე ვარ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

- რამ განაპირობა კლუბში თქვენი მოსვლა და როგორ შეაფასებდით კლუბის მუშაობას.

- როგორც ექსპერტი, ხშირად ვიღებ მონაწილეობას ამომჩიველ ქალთა კლუბის შეხვედრებზე. ქალები ზუსტად აღიქვამენ იმ პრობლემებს, რომლებიც მათ გარშემოა - სოციალურ, ჯანდაცვის, განათლების სფეროში. შეხვედრები საინტერესო და მნიშვნელოვანია - ქალები მსჯელობენ გადაჭრის გზებზე, ხვალინდელ დღეზე. იმართება დებატები, რაც ხელს უწყობს ქალთა გააქტიურებას და ჩართულობას პოლიტიკაში.

ვფიქრობ, მამაკაცებმა უნდა ვიცოდეთ, რა დაბრკოლებები ხვდებათ ქალბატონებს საარჩევნო კამპანიების დროს, როგორია მათი ხედვა, რა შესაძლებლობები გააჩნიათ, სად შეიძლება მოხდეს ჩვენი ინტერესების გადაკვეთა.

ქალთა მშპ პოლიტიკაში 2013



ამომჩიველ ქალთა კლუბი ხობში

- როგორია გენდერული სურათი ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაგალითზე. ანუ, ქალები თქვენს გვერდით...

- მიმაჩნია, რომ ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში აუცილებელია. უნდა ვაღიარო, რომ ისინი უფრო მიზანსწრაფულები და ობიექტურები არიან ბევრი საკითხის გადაწყვეტაში, უფრო კომპეტენტურები.

ჩემს გვერდით საკრებულოში ხუთი ქალია, ხუთივე - ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან. ისინი საკმაოდ აქტიურები არიან სხვადასხვა საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

- რა პრობლემებია თქვენს რეგიონში? როგორ ფიქრობთ, შეუძლიათ თუ არა კლუბის წევრებს ადვოკატირება და მიიღებდით თუ არა მონაწილეობას ადვოკატირების პროცესში?

- როგორც ყველგან, ჩვენთანაც ბევრი სოციალური პრობლემაა, არის ჯანდაცვასთან დაკავშირებული პრობლემები... ადამიანის უფ-

ლებების დარღვევა, ძალადობა ოჯახში. ყველაფერი ეს უარყოფითად აისახება ქალებზე.

ვფიქრობ, საჭიროა მოსახლეობის მეტი ინფორმირებულობა - საკუთარი უფლებების სწავლება, სამართლებრივი განათლება, სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობა. მხარს ვუჭერ ამ მიმართულებით კლუბის მუშაობას. კლუბში გაერთიანებულ ჩვენს აქტიურ ქალბატონებს, მათ შორის ჩვენი საკრებულოს წევრებს, შეუძლიათ პრობლემების ადვოკატირება ადგილობრივ დონეზე, მაგრამ საბოლოო შედეგების მისაღწევად მათ სათანადო ბერკეტები და კომპეტენცია არ გააჩნიათ. სწორედ ამ საქმეში გვჭირდება საერთო ძალისხმევა.

- რას უსურვებდით ქალბატონებს?

- წარმატებებს, სიხარულს, ოჯახურ ბედნიერებას, წინსვლას პოლიტიკურ სარბიელზე...

მანანა ლეჟაველი

ქალთა სპეციალური პოლიტიკაში

ინტერვიუ-საუბარი

● ქალთა საერთაშორისო დღისადმი გამოცემული კვლევის მიხედვით, იზრდება ქალთა გავლენა პოლიტიკაზე, თუმცა მათი წარმომადგენლობა მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტებში მცირე რჩება.

საპარლამენტოშორისო კავშირის მიმოხილვის თანახმად, ქალები პარლამენტართა მხოლოდ 19 პროცენტს შეადგენენ (2005 წელს მათი რაოდენობა 16,3 პროცენტი იყო). საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის მხრივ ლიდერობენ ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები - იქ დეპუტატთა 42 პროცენტი ქალია.

ყველაზე ცოტა ქალია არაბული ქვეყნების პარლამენტებში, თუმცა იქაც მიღწეულია გარკვეული პროგრესი: პარლამენტარ ქალთა რაოდენობა 4,5 პროცენტიდან (1995 წ.) გაიზარდა 11,7 პროცენტამდე.

ამერიკის ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია კოსტა-რიკაში (თითქმის 39 პროცენტი), მაშინ როცა აშშ-ში მხოლოდ 17 პროცენტი.

„როგორც კი ქალები ხვდებიან პარლამენტში, მათ უადვილდებათ ძალაუფლებისა და გავლენის მოპოვება, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ისინი თითო-ოროლა არ არიან. საჭიროა, რომ მათი წარმომადგენლობა სიმბოლური არ იყოს. ამიტომაცაა, რომ გაერო და საპარლამენტოშორისო კავშირი ასე აქტიურად ლაპარაკობენ 30-პროცენტიან ზღვარზე. სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა აღწევს ამ ზღვარს.“

საპარლამენტოშორისო კავშირის გენერალური მდივანი ანდერს ჯონსონი

# „ქალი და პოლიტიკა“ - ჩალიო „ქველი ქალაქის“ ათაჩვი

რადიო „ქველი ქალაქის“ ეთერში მორიგი გადაცემა გავიდა ციკლიდან - „ქალი და პოლიტიკა“.

მარტის გადაცემაში გაშუქდა ფონდი „სოხუმის“ საკანონმდებლო ინიციატივის (600 ლარიანი ფულადი დახმარება ყველა მშობიარე ქალისათვის) ლობირების კუთხით დაწყებული საქმიანობა.

აქტიური საზოგადოებრივი განხილვები ცხადყოფს საკითხის მიმართ მოქალაქეების ცალსახად პოზიტიურ დამოკიდებულებას.

„ეს მინიმალურია, მაგრამ, თუ რეალისტები ვიქნებით, ამ ეტაპზე სახელმწიფოს ალბათ მეტს ვერ მოვთხოვთ“.

„ბევრი გაჭირვებული ოჯახისთვის ეს სტიმული იქნება, რომ კიდევ ერთი შვილი გააჩინოს“.

გადაცემაში ადვოკატირებისა და ლობირების მეთოდოლოგიის გაცნობის კუთხით ფონდი „სოხუმის“ მიერ ამომრჩეველ ქალთა კლუბებში ჩატარებულ მუშაობაზე გამახვილდა ყურადღება.

ინიციატივის ლობირების მიზნით პოლიტიკურ პარტიებთან დაწყებული მუშაობის შედეგები აჩვენებს, რომ ისინი მიესალმებიან ფონდის ინიციატივას და მზად არიან, დაუჭირონ მხარი სხვადასხვა დონეზე.

გადაცემა ამომრჩეველ ქალთა კლუბებისა და ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლობის საკითხსაც შეეხო.

რა ინიციატივებს აყენებენ ქალები და როგორ ხდება მათი მხარდაჭერა ადგილობრივ დონეზე? ფოთის, ხობის, ოზურგეთის მაგალითებზე ცხადი ხდება ამ თანამშრომლობის აუცილებლობა და სარგებელი საზოგადოებისათვის.

გაჟღერდა ინფორმაცია საგრანტო პრო-

გრამის შესახებ, რომელიც დეპუტატი ქალების ინიციატივით მიიღო ოზურგეთის საკრებულომ.



როგორ მუშაობენ კლუბები ქალთა პრობლემების ადვოკატირების კუთხით. როგორ ხდება თანამშრომლობა საკრებულოსთან, როგორია საკრებულოების სოციალური პაკეტები, რამდენად ითვალისწინებს ქალთა საჭიროებებს - ფონდი „სოხუმის“ რადიოჟურნალისტი ლია ხარაბაძე ცდილობს ამ და სხვა საკითხების ირგვლივ მოგვანოდოს ინფორმაცია გადაცემაში, რომელიც მაისში გავიდა.

საკრებულოს წარმომადგენელი ქალბატონები, რომლებიც, თავის მხრივ, აქტიურად თანამშრომლობენ კლუბებთან, ასე მიიჩნევენ:

„ჩემი აზრით, ყოველი საკრებულოს მუშაობა უნდა იყოს გამჭვირვალე და ის უნდა ცდილობდეს, მჭიდრო კავშირი ჰქონდეს მოქალაქეებთან.“

„ჩვენ სურვილი გვაქვს, რომ გავალრმავოთ კლუბთან თანამშრომლობა, გავააქტიუროთ ქალები, რათა მათ წარმოადგინონ სხვადასხვა პროექტი“.

„მიმაჩნია, რომ ჩვენს შორის უნდა იყოს ინტეგრაცია“.

„ვცდილობთ, მაქსიმალურად იყოს ინფორმირებული კლუბი ჩვენი სოციალური პაკეტების შესახებ“.

კლუბების აქტივისტები იმ საკითხებზე საუბრობენ, რომელთა ადვოკატირებაც ხდება: ბათუმში - სოციალურად დაუცველი ადამიანების სახელმწიფო პროგრამებში მოხვედრის საკითხი, ზუგდიდში - კერძო სკოლების მასწავლებლების ჯანმრთელობის დაზღვევის საკითხი.

ქალთა სსიპი პოლიტიკაში უმც

გოგია გოგელაშვილი, ქუთაისის საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრი:

„მივესალმები ქალთა გააქტიურებას. რაც უფრო მეტი ქალი იქნება პოლიტიკაში, მით უფრო მეტად დამშვიდდება პოლიტიკური დულილი. მეტი შემწყნარებლობა იქნება ხალხის მიმართ და მეტი ყურადღება. ერთპიროვნულად მამაკაცური მომენტი ცოტა სხვანაირ გარემოს იწვევს.

ქუთაისის საკრებულოში ერთადერთი ქალია და სასურველი იქნებოდა, უფრო მეტი ქალი იყოს წარმოდგენილი“.



ლაშა ბერაია, ფოთის საკრებულოს წევრი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის საქალაქო ორგანიზაციის ლიდერი:

„ჩვენს პარტიაში თითქმის 70% ქალია. ისინი პარტიის მიერ შემოთავაზებული ინიციატივების თანავტორები არიან, განსაკუთრებით სოციალურ საკითხებში. მაგალითად, ერთ-ერთი ინიციატივა იყო ვირუსის შემთხვევების პირველადი და აუცილებელი დაფინანსება, ანუ პირველადი დახმარება დაფინანსდეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ეს ინიციატივა უკვე განხორციელების ეტაპზეა, ანუ მიღებულია უმრავლესობის მიერ“.



ლაშა ჩხარტიშვილი, აჭარის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი:

„აჭარის უმაღლეს საბჭოში ერთ-ერთი დეპუტატია ასმათ დიასამიძე, განათლების კომიტეტის თავმჯდომარე. ძალიან აქტიური, მონდომებული და საქმის მცოდნე.

სასურველია, უფრო მეტი ქალი იყოს უმაღლეს საბჭოში. ამას ჩვენ მივესალმებით, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ქალთა სიმცირის გამო არ გვარდება პრობლემები. ჩვენი შესაძლებლობის შესაბამისად, პრობლემებს მაქსიმალურად ვაგვარებთ“.

ჩაინერა

ლია ხარაბაძემ

ფონდი „სოხუმის“ რადიოჟურნალისტი

# ინტერნეტ-პეიჯი



ინდოეთის პარლამენტის ზედა პალატამ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც ქალებს პარლამენტსა და რეგიონულ საკანონმდებლო ორგანოებში ადგილების მესამედის გარანტიას აძლევს.

მძაფრი დებატების შემდეგ კანონპროექტი მიიღეს 186 ხმით (245-დან). პარლამენტის მხოლოდ ერთმა წევრმა არ მისცა ხმა.

ზოგიერთმა პარტიამ ხმის მიცემას ბოიკოტი გამოუცხადა.

ახლა ინდოეთის პარლამენტის წევრთა შორის მხოლოდ 10% ქალია.

პირველად 1996 წელს წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება დასტურია იმისა, რომ ქალთა უფლებები აღიარეს ინდოეთში, სადაც ჯერ კიდევ დაცულია პატრიარქალური საზოგადოების ტრადიციები.

ქვეყნის ზოგიერთ ნაწილში ოჯახებში ბიჭების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჭარბობს გოგონებისას: ქალები, გაიგებენ რა ბავშვის სქესს, ხშირად აბორტს იკეთებენ.

www.chaspik.spb.ru

# დემოკრატია ქალაქის ბარეშა შექმნა

## ცოტა რამ გამოცემის შესახებ

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წიგნი „დემოკრატია და გამოწვევა ცვლილებისთვის“ არის სახელმძღვანელო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის შესახებ. მასში თავმოყრილია NDI-ის მუშაობის 25-წლიანი გამოცდილება და მიზნად ისახავს ქალთა აქტიურობის ხელშეწყობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არჩევნებში, პოლიტიკურ პარტიებსა და მთავრობაში.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ წიგნი გამოიცა დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდის (NED) დახმარებით (სხვა ორგანიზაციებთან ერთად).

ჩავთვალეთ, რომ მკითხველისთვის - ლიდერი ქალებისათვის საინტერესო იქნებოდა ამ სახელმძღვანელოში განხილული სხვადასხვა საინტერესო და სასარგებლო რჩევის გაცნობა.

გამოცემის წინასიტყვაობა იწყება ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაიტის სიტყვებით: „წარმატება დემოკრატიის გარეშე წარმოუდგენელია; დემოკრატია ქალების გარეშე შეუძლებელია“.

## ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის პირობები

მიუხედავად საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობის მხრივ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯებისა, ქალებს ჯერ კიდევ უძნელდებათ ხელისუფლებაში მოხვედრა და იმ გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ ცხოვრებაზე. ზოგჯერ ეს ბარიერები პირდაპირ კავშირშია კანონმდებლობასთან.

მთელ მსოფლიოში, მაგალითად, ქალები იძულებულნი იყვნენ, ებრძოლათ ხმის უფლების მოპოვებისთვის ადვოკატირების და ლობირების გზით. პირველი ქვეყანა იყო ახალი ზელანდია, რომელმაც 1893 წელს ქალს მიანიჭა არჩევნებში ხმის უფლება, მაშინ როდესაც ქალები ქუვეითში 2005 წლამდე ელოდებოდნენ ამ უფლების მიღებას.

ხშირად ეს ბარიერი შეიძლება იყოს სოციალური, ეკონომიკური ან სტრუქტურული.

**ბოლო ათი წლის განმავლობაში, ქალთა წარმომადგენლობის დონე პარლამენტებში მსოფლიო მასშტაბით 1999 წლის შემდეგ გაიზარდა 13,1 %-დან - 18,6%-მდე (2009 წლის ბოლო).**

მიუხედავად პოზიტიური ძვრებისა, რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის თვალსაზრისით. ქვეყნებს შორის სიტუაციები განსხვავებულია, თუმცა არსებობს ზოგიერთი უნივერსალური ტენდენცია, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ რეალობაში.

აუცილებელია გამოწვევების შესწავლა და გათვალისწინება საარჩევნო პროგრამების შემუშავების პროცესში. ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს იდეალური გარემო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გასაუმჯობესებლად, თუმცა არსებობს გარკვეული პირობები მის ხელშესაწყობად.

პირველ რიგში, ქალს უნდა ჰქონდეს შე-

ქალთა მშპ პოლიტიკაში 2013

საბამისი ხელმისაწვდომობა წამყვან პოზიციებზე.

პოლიტიკური ხელმძღვანელობა ხშირად ცენტრალიზებულია მცირე, ელიტურ ჯგუფზე და ეფუძნება პირად ურთიერთობებს და არაფორმალურ ქსელებს.

ხელისუფლება აგებულია მრავალი წლის განმავლობაში არსებულ ურთიერთობებზე. პოლიტიკურ სისტემაში ქალების არარსებობის ისტორიული მიზეზები შეიძლება მნიშვნელოვან ბარიერებად ჩავთვალოთ იმ ქვეყნებში, სადაც ქალთა საზოგადოებრივი როლი მხოლოდ ახლა იწყებს განვითარებას.

პოლიტიკური ძალაუფლებისკენ მიმავალი გზა შესაძლებელია გამყარდეს, თუ ქალებს ექნებათ წინსვლის საშუალება, შეეძლებათ თანამოაზრე მამაკაცთა და ქალთა ქსელების ჩამოყალიბება და შეუნარჩუნდებათ სამართლებრივი უფლებები.

პოლიტიკური და საკანონმდებლო პროცესების გამჭვირვალობა აუცილებელი პირობაა ქალთა გასაძლიერებლად პოლიტიკურ და სამოქალაქო საზოგადოებაში.

პოლიტიკური პარტიებისა და საკანონმდებლო ორგანოების რთული იერარქიებიც ბარიერს წარმოადგენს ბევრი ქალისთვის, რომელიც პოლიტიკაში ადგილობრივ დონეზე მოდის და მიისწრაფვის უფრო მაღალი დონისაკენ.

ტექნიკური თვალსაზრისით, ეს არის მარტივი ბარიერი და პირდაპირი გზა პარტიის წესდებისა თუ კანონმდებლობის შეცვლისაკენ.

მთავარი გამოწვევა ისაა, რომ აუცილებელია გარდაქმნა საზოგადოებრივი აზროვნებისა, რაც ხელს უშლის ქალთა მონაწილეობის პრიორიტეტულობას, და მნიშვნელოვანი ცვლილებების უზრუნველყოფა.

გარდა ამისა, მოქალაქეები მზად უნდა იყვნენ ახალი იდეების მისაღებად გენდერულ როლებზე საზოგადოებაში.

მრავალ ქვეყანაში კულტურული ნორმები ასუსტებს ქალების შესაძლებლობას, კონკურენცია გაუწიონ მამაკაცებს და, ამასთანავე, შეინარჩუნონ შვილებსა და ოჯახზე

ზრუნვა, როგორც ქალების ექსკლუზიური მოვალეობა. როგორც ასეთი, მთელ მსოფლიოში კარგად ნაცადი პრაქტიკაა ის, რომ აქტივისტი ქალები დემოკრატიული პროცესების მნიშვნელოვან მხარდამჭერებად გვევლინებიან.

აუცილებელია შეთანხმებული ძალისხმევა ცნობიერების ამაღლებისთვის ისეთ პრობლემებზე, როგორცაა გენდერული უთანასწორობა და სტერეოტიპული გენდერული როლები, რომლებიც ქმნიან ფორმალურ და არაფორმალურ ბარიერებს.

**ძირითად ფაქტორს წარმოადგენს მხარდაჭერის მოპოვება მამაკაცი პოლიტიკური ლიდერებისგან პოლიტიკური კლიმატის შექმნაში, რაც ხელს უწყობს ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას.**

ქალების უნარი, მიაღწიონ ფინანსურ ავტონომიას ან მოიპოვონ ხელმისაწვდომობა ეკონომიკურ რესურსებზე, პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის აუცილებელი კრიტერიუმია. მსოფლიოში ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის დაბალი მაჩვენებელი და სიღარიბე ის ბარიერებია, რომელთა გადალახვა პოზიტიურ შედეგებს გამოიღებს პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის მხრივ.

ვინაიდან ქალები ნაკლებად მართავენ და მცირე ხელმისაწვდომობა აქვთ ეკონომიკურ რესურსებზე, ისინი ხშირად ვერ ანაზღაურებენ იმ ფორმალურ და არაფორმალურ დანახარჯებს, რომლებიც უკავშირდება პარტიის მხრიდან მათი კანდიდატურის დასახელებას და არჩევნებში მხარდაჭერას.

**თარგმნა  
მირანდა გვანცელაქია**

ქალთა სწავლა პოლიტიკაში

თვითშეფასება თქვენი სუბიექტური თვითშეგრძნებაა. თვითშეფასების მაღალი დონის ფორმირებას ადამიანი სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს, ვინაიდან მხოლოდ ასე შეიძლება წარმატების მიღწევა. თუკი საკუთარი თავის სიყვარულს ისწავლით, სხვების შეყვარებაც არ გაგიჭირდებათ.



პირადი ღირსებებისა და შესაძლებლობების შეფასების მაღალი დონით თქვენ შეძლებთ სწორი გადაწყვეტილებების მიღებასა და შესაბამის მოქმედებას. თუ თქვენს თავს ჯეროვნად არ აფასებთ, თქვენი ცხოვრებისეული პოტენციალიც დაბალ ნიშნულზე იყინება.

ზოგიერთი მიზეზი, რომელსაც დაბალი თვითშეფასების ფორმირებამდე მივყავართ:

- თქვენს ირგვლივ მყოფი ადამიანები, რომლებიც თქვენს მიმართ უკიდურესად არაკეთილგანწყობილი არიან და ყველანაირად ცდილობენ თქვენი თვითშეფასების დაკნინებას.
- ხშირად ადამიანები, შეგნებულად, საჭიროზე მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ სხვათა შეცდომებს.
- ადამიანები ხშირად სხვებს ადარებენ საკუთარ თავს და თვითშეფასებას მიღებული შედეგებითი მონაცემების საფუძველზე აგებენ.

ვინაიდან მაღალი თვითშეფასება თქვენი წარმატების საწინდარია, მის ამაღლებაზე განუწყვეტლივ უნდა იმუშაოთ.

ამისათვის რამდენიმე ხერხი შეიძლება გამოიყენოთ:

**1** შეიყვარეთ თქვენი გამოსახულება სარკეში. დააკვირდით ანარეკლს და შეეცადეთ, მასში, რაც შეიძლება, მეტი დადებითი იპოვოთ. მაშინაც კი, თუ თქვენი გარეგნობის გარკვეული მხარე არ იწვევს თქვენში განსაკუთრებულ აღტაცებას, ეცადეთ, ყურადღება ძლიერ მხარეებზე გაამახვილოთ.

**2** შეადგინეთ თქვენი წარმატების დღიური. ეს შეიძლება იყოს ბლოკნოტი ან რვეული, რომელშიც ყოველდღიურად ჩანერთ თქვენს წარმატებებსა და მიღწევებს. თავიდან მიზნად დაისახეთ მინიმუმ ხუთი წარმატების აღნიშვნა.

**3** ჩამოაყალიბეთ თქვენი ხატება და მუდმივად გყავდეთ ის თქვენს ცნობიერებაში. ამ წესმა სწორად რომ იმუშაოს, ხატება მაქსიმალურად დეტალიზებული უნდა იყოს. გამოიხმეთ თქვენს ცნობიერებაში, თუნდაც დღეში ერთხელ. წარმოიდგინეთ, როგორ მიიღებთ გადაწყვეტილებას ამა თუ იმ სიტუაციაში, როგორ ჩაიცვამთ, რა თვისებები იქნება თქვენთვის დამახასიათებელი.

**4** შეადგინეთ სარეკლამო ხასიათის მომცრო ავტობიოგრაფიული ტექსტი, სადაც აღწერთ თქვენს ყველა დადებით მხარეს და ღირსებას, ძლიერ მხარეებს. არ მოგერიდოთ და არ შეგრცხვით საკუთარი თავის შექების. რაც უფრო კარგი იქნება თქვენი თვითრეკლამა, მით უფრო კარგი გახდებით, მით უფრო მაღალი იქნება თქვენი თვითშეფასება. ამ თვალსაზრისით, ძალიან ეფექტურია სარკის წინ საკუთარი თავის საქებარი ტექსტის კითხვა.

ქალთა სქვა პოლიტიკაში უმც

პროექტის დირექტორი - ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი - მერი გელაშვილი

კორესპონდენტები - მანანა ლეშკაშვილი, ნატო ჩხორთოლია

ფოტო - მანანა ლეშკაშვილი

დიზაინი - ლია კოსტავა

რედაქტორი - ლალი შენგელია

მისამართი: ქუთაისი, მგალობლიშვილის 6

ტელ. (+995) 431 27 29 02


ფაქსი: (+995) 431 27 13 68

ელფოსტა: woman@fundsokhumi.ge

ვებ-გვერდი: www.fundsokhumi.ge

დაიბეჭდა „მზმ- პოლიგრაფში“

ქუთაისი, წერეთლის 186



ჟურნალის გამომცემელი  
ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია  
კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

გამოდის 2006 წლიდან